

შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა

ს/კ 405169598

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის(მსს ფასს) შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს “მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა” (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2016 წლის 4 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405169598 იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 6გ. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2019 წლის 26 დეკემბრიდან.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან: 80%-ს მფლობელი, დავით თაბაგარი (პ/ნ: 01009013472) და 20%-ს მფლობელი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ესემო-ფარმინა (ს/კ 202346498).

1.3. კომპანიის დირექტორია ნიკოლოზ ფრუიძე (პ.ნ 01018003496).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურების გაწევა, სამედიცინო - კლინიკური კვლევების ფარგლებში საჭირო სამედიცინო მომსახურების გაწევა, სამედიცინო უწყვეტი განათლება - რეზიდენტურა.

1.5. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება. კომპანიას აქვს მიდგომა 200 ლარამდე პროდუქცია არ აღიაროს ძირითად საშუალებად და აღიაროს პირდაპირ პერიოდის ხარჯად.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება

ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით შემდეგი საექსპლატაციო ვადის გათვალისწინებით:

- შენობა ნაგებობები - 20 წელი;
- არამატერიალური აქტივი - 10 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;
- მანქანა-დანადგარები - 8 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;
- ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;
- სამედიცინო ინვენტარი - 4 წელი.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

სავაჭრო ვალდებულებები

სვაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის (სებ)

მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მათგან მომავალში აღარაა მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მოტანა, ან არ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და ბონუსები აღიარდება იმ წელს როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგება ან ზარალში როდესაც იგი იქნა გაწეული.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2022 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.504 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
ნაღდი ფული სალაროში	2 804	2 068
ლარი საბანკო ანგარიშებზე	208 400	430 646
სულ:	211 204	432 714

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	1 369 828	1 855 779
სულ:	1 369 828	1 855 779

სავაჭრო მოთხოვნები ორივე წელს მთლიანად შედგება დებიტორული დავალიანებებისგან

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	441 693	34 023
სულ:	441 693	34 023

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2021	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022
მიწის ნაკვეთები	268 720	0		268 720
არამატერიალური აქტივები	46 433	14 637		61 070
შენობა - ნაგებობები	2 483 912	30 935	-49 104	2 514 847
კაპიტალური ხარჯები	60 368	445 403	-25 230	505 771
დაუმთავრებელი მშენებლობა	2 328 849	847 125		3 175 974
მანქანა-დანადგარები	1 788 877	434 510	-262 028	2 223 387
ოფისის აღჭურვილობა	215 430	57 797	-47 765	273 227

ავეჯი და სხვა ინვენტარი	46 270	21 487	-10 326	67 757
სამედიცინო ინვენტარი	144 240	55 981	-34 393	200 221
სატრანსპორტო საშუალებები	48 742	0	-4 874	48 742
ჯამი	7 431 841	1 907 875	-433 720	9 339 716

კომპანიის საადრიცხო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - **1 237 331** ლარი.

2022 წლის ბოლოსთვის ძირითადი საშუალებების ნარჩენმა ღირებულებამ შეადგინა **8 077 154** ლარი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	1 493 619	1 174 828
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	0
სულ:	1 493 619	1 174 828

3.7. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
პარტნიორთა კაპიტალი	2 573 918	2 343 918
გაუნაწილებელი მოგება	4 962 494	4 198 034
სულ:	7 536 412	6 541 952

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი

სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2022 წლების მოგება არ შემცირებულა, რადგან არ გაცემულა დივიდენდი.

3.10. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020-2021 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა სამედიცინო მომსახურებიდან და სამედიცინო კლინიკური კვლევებისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურებიდან.

	2022 წელი
სამედიცინო მომსახურებიდან შემოსავალი	7 498 306
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	- 4 601 374
საერთო მოგება	2 896 932

3.11. სხვა შემოსავლები და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

სხვა ხარჯების დასახელება	2022 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	526 570
ცვეთა და ამორტიზაცია	433 720
საპროცენტო ხარჯი	125 061
იჯარის ხარჯები	89 902
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	805 853
სულ საოპერაციო ხარჯები	1 981 106

3.12. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

	2022 წელი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-159 108
სულ:	-159 108

3.13. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2017-2022 წლების ფინანსური შედეგი არ შემცირებულა დივიდენდის ხარჯზე. ამ წლების განმავლობაში კომპანიის მოგების რეინვესტირება ხდება კლინიკის განვითარებისთვის.

	2022 წელი
მოგება/(ზარალი)	764 460
სულ:	764 460

4. ფინანსური უწყისები:

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
	31-12-2021	31-12-2020	31.12.2019
აქტივები	211 204	432 714	398 338
ფული და ფულის ეკვივალენტები			
სავაჭრო მოთხოვნები	1 369 828	1 855 779	1 266 455
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	441 693	34 023	139 030
მარგები	448 606	309 558	323 218
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება	3 175 974	2 328 849	1 129 264
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4 901 182	4 274 152	1 674 417
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	353 547	397 740	
სულ აქტივები	10 902 033	9 632 815	4 930 723
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	1 493 619	1 174 828	828 430
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	301 698	299 455	243 289
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	8 434
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	7 254	40 430	204 219
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1 563 051	1 576 150	
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	3 365 621	3 090 863	1 284 372
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	2 573 918	2 343 918	796 974
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4 962 494	4 198 034	2 849 378

გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	7 536 412	6 541 952	3 646 352
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10 902 033	9 632 815	4 930 723

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
	2021	2020
ნეტო ამონაგები	7 505 403	8 028 305
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	7 498 306	8 018 752
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	7 097	9 553
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4 601 374	4 695 547
საწყისი მარაგები	309 558	323 218
მარაგების შესყიდვა	790 794	749 700
გადამუშავების დანახარჯები	3 949 629	3 932 187
საბოლოო მარაგები	448 606	309 558
საერთო მოგება	2 904 029	3 332 758
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	526 570	487 454
ცვეთა და ამორტიზაცია	433 720	331 683
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	125 061	17 459
იჯარის ხარჯი	89 902	160 265
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	805 853	903 351
სულ საოპერაციო ხარჯები	1 981 106	1 900 212
საოპერაციო მოგება	922 923	1 432 546
	7 505 403	8 028 305
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(137 465)	56 249
მიღებული დივიდენდები		

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(159 108)	(137 465)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადი	645	53 575
მოგება/(ზარალი)	(158 463)	(83 890)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	6 541 952	3 646 352
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	230 000	1 546 944
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7 536 412	6 541 952

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	395 615	(312 983)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(847 125)	(1 199 585)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	230 000	1 546 944
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(221 510)	34 376
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	432 714	398 338
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	211 204	432 714

5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 02 ოქტომბერს.

შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულას საოპერაციო დირექტორი
მინდობილი პირი აპოლონ არდაშელია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



47439915188022

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220004140

რეგისტრაციის თარიღი

05.01.2022 წ

ნოტარიუსი: მზია შვანგირაძე

მისამართი: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქუჩა #50/1ა

ტელეფონი: 2 30 52 28, 591515551

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაორი წლის ხუთი იანვარი, მე, საქართველოს ნოტარიუს მზია შვანგირაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქ. №50/სა, მომართა: შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“-ს ს/კ 405169598 დირექტორმა ნიკოლოზ ფრუიძემ (ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 29/12/2021 წ., განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B 21131671 ს/კ 405169598, რეგისტრირებული 04/10/2016 წ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია). მან განაცხადა, რომ სურს რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამ. მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ნიკოლოზ ფრუიძემ (დაბ. 04.07.1959 წ. პ/ნ №01018003496, მცხ. თბილისი ვასილ ბარნოვის ქ. N 71 ბ. 29) მომართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც მოიწონა მან და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

რწმუნებულება

„მარწმუნებელი“ შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“-ს ს/კ 405169598 დირექტორი ნიკოლოზ ფრუიძე (მონაცემები მითითებულია ზემოთ), „რწმუნებულს“ აპოლონ არდაშელიას (დაბ. 16.07.1977 წ. პ/ნ 62001004754) ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას: საზოგადოების წესდებით, დირექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, იყოს შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“-ს ს/კ 405169598, დირექტორის წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციაში, იუსტიციის სახლში და მის სივრცეში განთავსებულ ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში, სსიპ „პირთუფილი და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“-ში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, მის დაქვემდებარებაში მყოფ განყოფილებებში, შსს მომსახურების სააგენტოში (საპატრულო პოლიცია), ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობებში, ქ. თბილისის მერიაში, მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქ. თბილისის ქონების მართვის სააგენტოში, შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“-ს ს/კ 405169598, დირექტორის სახელით უფლებამოსილია მიმართოს განცხადება/განაცხადით, ჩააბაროს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტები/ნებართვები, დაამზადებინოს უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) აზომვითი ნახაზები, მშენებლობის პროექტი, მოახდინოს პროექტის კორექტირება, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, მოახდინოს ფართის კორექტირება, განახორციელოს მშენებლობა პროექტის შესაბამისად, მოახდინოს გ.რ.გ-ს კორექტირება-ცვლილება (მოახდინოს უძრავი ქონების ლეგალიზაცია-დარეგისტრირება-დაკანონება, დარეგისტრიროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები, ხელი მოაწეროს „მინდობილობის გამცემის“ მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

წარადგინოს შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“-ს ს/კ 405169598, შ.პ.ს. „თელასი“-სთან, შპს „თბილისი ენერჯი“-სთან, შ.პ.ს. „თელმიკოსთან“, დასუფთავების სამსახურთან, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან, საზოგადოების კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, შეაგროვოს ყველა საჭირო დოკუმენტი, შეიტანოს განცხადება/განაცხადი, ჩააბაროს და მიიღოს შესაბამისი სერვისი, ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები, შეიყვანოს დენი, ბუნებრივი აირი, წყალი, დაამონტაჟოს მრიცხველები (გადაიტანოს), გადაიხადოს გადასახადები და მოსაკრებლები, ხელი მოაწეროს „მინდობილობის გამცემის“ მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

რწმუნებულება გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2025 წლის 05 (ხუთი) იანვრის ჩათვლით.

რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისთვის წინასწარი შეტყობინებით. წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება საქართველოს ნოტარიუსის მზია შვანგირაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცემა „მინდობილობის გამცემს“.

დანართი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ათი/ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა. 2.00 (ორი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ამავე დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა. სულ 12 ლარი.

„მინდობილობის გამცემი:

შპს „მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა“-ს ს/კ 405169598, დირექტორი ნიკოლოზ ფრუიძე



ნოტარიუსი

/მზია შვანგირაძე/